გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვი-ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


ამ ნომერში 10 გვერდია.

ახლად გარდაცვალებულ **თ. ნესტორ ალექსანდრეს ძის თავდგირიძის** ნაცნობთა და მეგობართ სთხოვენ მობრძანდნენ დღეს, 19 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საცა განსვენებულის მოსახსენებლად პანაშვიდი იქნება გარდახდილი. (1—1)

**კნეინა ელისაბედ ვახვახიშვილისა, სვიმონ** და **ალექსანდრე ვახვახიშვილები, დიმიტრი ვახვახიშვილი** და **თ. რევაზ ქაიხოსროს ძე ვაჩნაძე** მეუღლითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი მეუღლისა თვისისას, მეორენი მამისა, მესამე ძმისას, დანარჩენნი სიძისას—**თ.-დ. რევაზ ზაალის ძის ვახვახიშვილისას,** და სთხოვენ მობრძანდნენ ხუთშაბათს, 20 მაისს, დილის $9\frac{1}{2}$ საათზედ, მიცვალებულის გამოსასვენებლად ივანენკოს სახლიდგან, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზე, კალოუბნის ეკლესიაში. პანაშვიდები 1 და 7 საათზედ.

ტფილისის ქალაქის მოურავი აცნობებს ყველას, რომ 19 მაისიდგან ქალაქის გამგეობა მიიღებს შემოწირულებას 13 მაისის წყალდიდობით დაზარალებულ ღარიბთა სასარგებლოდ. (3—1)

„ქართველთა ამხანაგობის“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამხანაგობის კრება დანიშნულია შაფათს, 22 მაისს, ნაცვლად 15 მაისის არ შემდგარ კრებისა. ეს უკანასკნელი კრება უეჭველად შესდგება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. განსახილველი საგნები იგივეა. კრება იქმნება ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში საღამოს 7 საათზე.

## სასტიკი დამარცხება

ქალაქის ხმოსანთა კენჭის ყრა ჯერაც არ გათავებულა. მაგრამ დარჩენილ 8 კაცის არჩევას, რასაკვირველია, არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება. 72 არჩეულ ხმოსანთა შორის, ოთხი წილი სომეხია და მხოლოდ ერთი მეხუთედი ქართველი და რუსი.

საგულისხმო იყო, რადგანაც სომეხთა რიცხვი ტფილისში მესამედზედ ცოტა მეტია, ამისთვის საბჭოში ისინი მომეტებულად იქნებოდნენ არჩეული, ვიდრე თითოეულად ქართველნი ან რუსნი. მაგრამ ეს სრულიად წარმოუდგენელი და დაუჯერებელი იყო, რომ 58 სომეხი აერჩიათ ხმოსნათ და რუსი და ქართველი-კი ორივენი ერთად ძლივს 14-მდე.

სომეხთა საარჩევანო მეცადინეობამ დიაღ დიდი გამარჯვება მიანიჭა და იერიში, მიტანილი ქართველებზედა და რუსებზედ, ერთობ თვალსაჩინო შეიქნა, მაგრამ აზრი სომეხთა მოქმედებისა ჩვენ მაინც ვერ გაგვიგია. რა საჭირო იყო ქალაქის კეთილდღეობისთვის, რომ საბჭო მარტო სომეხთაგან ყოფილიყო შემდგარი; ქართველები და რუსები-კი, ყანაში რომ აქა - იქ საჩრდილებელ თითოოროლა ხეს დასტოვებენ, ისე კენტად ყოფილიყვნენ წამომდგარი?

ჩვენ არ ვიცით, როგორ მოიქცევა ეს 14 ახლად არჩეული ხმოსანი, არც გვინდა დავასწროთ და რჩევა რამ მივცეთ, რადგანაც საგულისხმოა, თითონაც კარგად განსჯიან, რა უნდა ჰქმნან.

ამბობენ, სომხები ანგარიშის ხალხი არიანო და ყოველს მათ მოქმედებას ერთი რამ სარგებლობის ნიშანი ასვიაო. ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვხედავთ, სომხებს, კარგად ეანგარიშოთ. გვგონია, რომ ნამდვილი თავისი მდგომარეობა დავიწყებიათ. სომხები რამდენადაც ვიცით, ყოველგან საქართველოში და თვით ტფილისშიაც საზოგადოდ ვაჭარი ხალხია. ისინი ერთ იოტის ოდენას არას უმატებენ ხალხის სიმდიდრეს თავის არსებობით, რადგანაც არაფერს არ აწარმოებენ, არამედ არიან შუამავალნი გამყიდველსა და მყიდველს შორის.

მთელს ქართლ-კახეთს თავისი ჭირნახული და ნამუშავარი აქ ჩამოაქვს და ეს რატომ არ იფიქრა ტფილისის სომხობამ, რომ ქალაქის საქმეების მინდობა და წარმართვა მარტო იმათი საქმე არ იყო?

ვინ იქნება იმის თავდები, რომ სომხის საბჭო მეძოსულ მწარმოებელის ხალხისთვის შემავიწროებელსა და საზარალო მდგომარეობას არ დააწესებს?

რომ ამისთანა იჭვი არ დაგვბადებოდა, საჭირო იყო ხმოსანთა რიცხვი შეფარდებული მაინც ყოფილიყო თითოეულის ტომის მცხოვრებთა რიცხვთან.

ქალაქის ცხოვრების პირობანი და მოთხოვნილებანი ერთობ მრავალ ფეროვანია და მხოლოდ ერთის ტომის ინტერესების წარმომადგენელნი, რასაკვირველია, ვერ შესძლებენ, რომ კანონიერად და ჯეროვანად დააკმაყოფილონ დანაშთენი ტომნი.

ამას გარდა, ამ ნაირის ომის გამოცხადება სომეხთაგან რუს-ქართველთა წინააღმდეგ არც სხვა მხრივ არის მოსაწონი და სასარგებლო თითონ მათთვის.

როდესაც ერთი ნამცეცა ხალხი ისე არის მომწყვდეული უცხო ქვეყანაში, როგორც სომხები საქართველოში—რატომ ეს აღარ გაახსენდათ, რომ ამისთანა მდგომარეობაში ცოტა ტაქტისა და თავაზიანობის გამოჩენა ჰფეროდათ?!

კვირის კენჭის ყრამ აშკარად დაგვანახა, რომ სომხები არავის არაფრად არ სთვლიან. ასე გვინდა და ასე ვბრძანებთო. „იყავ ნება შენი!“

საქართველოს დედა ქალაქში მოსულ ერთ მუჭა ვაჭრებისაგან ასე გაკადნიერება, არა გვგონია, გონიერი საქციელი იყოს!

არ ვარგა ნავში, ჯდომა და ბრძოლა მენავესთანაო.

ვნახოთ, აბა, რა კეთილს ნაყოფს მოუტანს ქართველთა და სომეხთ კვირანდელი გამარჯვება?

მეველე

## ახალი ამბავი

*** 16 მაისს, დილის 9 საათზედ დაიწყო ქალაქის ახალ საბჭოს ხმოსნების არჩევანები. კენჭის ყრა გათავდა საღამოს $9\frac{1}{2}$ საათზედ. ამორჩეულ იქმნა 72 ხმოსანი. დანარჩენ 8 ხმოსნისა და კანდიდატების არჩევანები შემდეგ კრებაზედ მოხდება. მოგვყავს სია კანდიდატებისა. ხმოსნად ამორჩეულთა გვარებს ვარსკვლავი უზის.

| | თეთ. | შავი. |
|---|---|---|
| *ავალიშვილი თ. დ. ი. | 503 | 432 |
| *ავთანდილოვი მ. ზ. | 633 | 294 |
| აგაპიევი ნ. ფ. | 369 | 571 |
| *აივაზოვი ა. გ. | 541 | 401 |
| *აკოფოვი ე. მ. | 490 | 446 |
| ალიბეგოვი პ. ი. | 400 | 536 |
| *ალიხანოვი ი. მ. | 588 | 348 |
| *ალიხანოვი ი. ს. | 549 | 387 |
| *ალიხანოვი კ. მ. | 648 | 288 |
| *ანანოვი ს. ი. | 653 | 283 |
| ანდრონიკაშვილი ლ. ია. | 302 | 634 |
| *არღუთ.-დოლგორ. თ. ა. მ. | 541 | 395 |
| *არღუთ.-დოლგორ. თ. ნ. ვ. | 805 | 131 |
| *არღუთ.-დოლგორ. თ. ნ. ე. | 475 | 461 |
| *არღუთ.-დოლგორ. თ. ე. მ. | 706 | 230 |
| არდაზიანი ა. პ. | 291 | 645 |
| არჯევანიძე ნ. ი. | 334 | 602 |
| ახუნდოვი მ. მ. | 288 | 648 |
| *ბაბაევი ა. ნ. | 606 | 330 |
| ბაბანასოვი ა. გ. | 277 | 659 |
| *ბაბანოვი ა. ა. | 541 | 395 |
| ბაბოვი ა. ს. | 438 | 498 |
| *ბაბოვი ე. ს. | 628 | 308 |
| ბაქრაძე ა. ი. | 465 | 479 |
| ბერელაშვილი ვ. გ. | 279 | 657 |
| ბიფელდი ლ. პ. | 371 | 565 |
| ბოგოიავლენსკი ა. ა. | 340 | 596 |
| *ბოლგარსკი ვ. ა. | 585 | 351 |
| ბოლოტინი ნ. მ. | 270 | 666 |
| *ბუდაღოვი ი. ს. | 585 | 351 |
| *ბუდ.-ბაღდასაროვი ა. ს. | 498 | 438 |
| ბუტკევიჩი კ. ც. | 360 | 576 |
| ვართაზარიანცი ფ. ია. | 382 | 554 |
| *ვართანოვი ა. ი. | 548 | 388 |
| ვასილიევი პ. ს. | 367 | 569 |
| ვეისენგოფი ს. ა. | 426 | 510 |
| *[illegible] ს. ა. | [illegible] | [illegible] |
| *ვეტცელი ფ. კ. | 600 | 336 |
| ვინოკუროვი ა. ა. | 237 | 699 |
| გაბაშვილი ვ. ი. | 271 | 665 |
| *გლავაცკი პ. ა. | 563 | 372 |
| გრაბოვსკი ვ. ვ. | 269 | 667 |
| *გრიქუროვი ნ. ა. | 530 | 406 |
| გოლდბერი ვ. ა. | 362 | 574 |
| გურამიშვილი თ. დ. ა. | 466 | 478 |
| *დავიდოვი ე. ა. | 647 | 289 |
| დანილოვი ე. მ. | 302 | 634 |
| დევდორიანი ნ. ა. | 236 | 700 |
| დეკაპრელევიჩი ლ. ა. | 256 | 680 |
| დოლინსკი ი. კ. | 285 | 651 |
| *დოლუხანოვი მ. ი. | 643 | 293 |
| *დოლუხანოვი მ. რ. | 614 | 322 |
| *ევანგულოვი გ. გ. | 649 | 287 |
| ელიაზაროვი ლ. გ. | 423 | 513 |

# ფელეტონი

## ქართველთა შორის.

უცნაური ამბავი.—გაზეთის მოვალეობა.—კიდევ და კიდევ ქონდრის კაცები.

საგანგებოდ, განზრახ ვერავინ მოიფიქრებდა ჩაეყენებინა ჩვენი გაზეთი იმ უცნაურ გარემოებაში, რომელშიაც იგი დღესაა ჩაყენებული. წარმოიდგინეთ, რომ „ივერიას“ სრული უფლება აქვს გულ-ახდით ელაპარაკოს მკითხველს ყველაფერზედ, გარდა იცით რისა?—გარდა სათავად-აზნაურო ბანკის შინაურ და გარეგან ავ-კარგიანობისა! გარდა სათავად-აზნაურო წინამძღოლობისა, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“, სააზნაურო სკოლებისა და ქართულ აწინდელ მწერლობისა! მერე თითებზედ რომ ჩამოითვალოთ ჩვენი საზოგადო საქმეები-კი, აღმოჩნდება, რომ ქართველ მოღვაწეს ძილშიაცა და ცხადივაც უნდა გათვალისწინებული ჰქონდეს უმთავრესად რა?—ყოველი წვლილი ბანკის საქმეთა მიმდინარეობისა, ყოველი ნაბიჯი „წერა-კითხვის საზოგადოებისა“, ყოველი მოქმედება თუ ხელთუყრობა თავად-აზნაურთა წინამძღოლობისა, ყოველი ვითარება სააზნაურო სკოლისა და სრული ავი და კარგი ჩვენის მწერლობისა, მეტადრე ამ ოცდა-თხუთმეტის წლის განმავლობაში. გამორიცხეთ ჩამოთვლილნი დაწესებულებანი სამოღვაწო სიიდგან & რაღა უნდა დარჩეს საბრალო გაზეთს საბაასოდ, სარჩეველად და სანუკარად? არაფერი, გარდა ევროპის ხალხთა ცხოვრებისა, რომელსაც ჯერ მაგდენად ვერ ეწყობა ჩვენი მკითხველი საზოგადოება, და უფერულ ამბავთა ჩვენის მდოვრ-მოკიდებულ სოფლის ავ-კარგიანობისა; მაგალითად, გინდა იმისთანებისა, თუ როგორ მოჰპარა ნინიამ ქათამი სესიას და როგორის უსირცხვილობით გაისისხლიანა კბილი მეზობლის საკუთრებით. ამ გვარ ამბების შესახებ გაზეთს შეუძლიან კიდეც დასწეროს ვრცელი და ღრმა მოსაზრება საზოგადოებურ-საიურიდიულო ხასიათისა მასზედ, თუ რა კანონიერი ანუ ზნეობრივი უფლება ჰქონდა შეჩვენებულ ნინიას მოეპარა დაჩაგრულ სესიასთვის ქათამი და ან რასა ჰმოწმობს თვით ასეთი მოქმედება ადამიანთა ზნეობის აწონ-დაწონვაში!

ქვეყანას გულით უნდა შეიტყოს თავ-გადასავალი ბანკისა, და ჩვენ-კი პირზედ კლიტე დაგვიდვია. რათა?—არავინ იფიქროსო, ვითომც გაზეთის რედაქტორს უნდა ზედ-მოქმედება იქონიოს საზოგადო აზრზედ, და არ დასწამონო, ვითომც იგი, გაზეთის საშუალებით, ამორჩევის საქმეებს ისე ატრიალებს, როგორც თავისი სურვილიაო. მერე რომელი სამოქალაქო და ზნეობრივი კანონი უშლის საზოგადო მოღვაწეს—არამცა და არამც ამომრჩევლის აზრზედ მოქმედება რამ არ იქონიოს, თუკი ეს მოქმედება აუცილებლივ სასარგებლოა ქვეყნისთვისაცა და თვით ამომრჩევლისთვისაც?

ქართველობასა ჰსურს დაწვრილებით იცოდეს „წერა-კითხვის საზოგადოების“ ავი და კარგი, ჩვენ-კი ამ სურვილს ვერ ვაკმაყოფილებთ—კრინტი არ დასძრათ „საზოგადოების“ მოქმედების შესახებო, თორემ ასე იტყვიან, ვითომც, რაკი გაზეთი აქვს მის თავმჯდომარეს, ამიტომ ძალასა ხმარობს და თავისი აზრები გაჰყავსო. თქვე კაი კაცებო, მაგის მეტს ნურას იტყვიან, თორემ მაგაში დასაძრახი რა არის, ნეტა ვიცოდე! თუ-კი მაგოდენ ძალას შესძენთ გაზეთს, რომ იგი სასარგებლო აზრს მოაწონებს საზოგადოებას, მაგაზედ კარგი და სასურველი განა ბევრი რამ არის-ღა ჩვენს დღევანდელ ყოფაში!

ქართველი ხალხი ტაატობით, ნელნელა ცნობიერებაში ვარდება, დღითი-დღე მატულობს მისი ხალისი ჩვენის მწერლობის გაცნობისა, ეწაფება თავის საუკეთესო ავტორებს, სულ განაბული ყურს უგდებს მათს ნალაპარაკევს, უნდა თავისი შეხედულობა, თავისი აზრი მწერლებზედ შეუდაროს, შეუთანასწოროს მცოდნე კაცების აზრსა და კიდევაც შეასწოროს იგი მათის შეხედულობით, შეითვისოს მათი თვალთა ხედვის ისარი, რომ გაუადვილდეს საუკეთესო და უტყუარის მსჯავრის დადება,—და ამ დროს ჩვენ-კი გვეუბნე-

| | | |
|---|---|---|
| ეჯუბოვი ა. ე. | 307 | 629 |
| ენიკოლოფოვი ბ. ზ. | 249 | 687 |
| ჟუკი პ. თ. | 453 | 483 |
| ზავრიევი ზ. ს. | 339 | 597 |
| *ზუბალოვი ნ. დ. | 491 | 445 |
| *ივანენკო ა. ა. | 525 | 411 |
| *იზმაილოვი პ. ა. | 721 | 215 |
| ისარლიშვილ მ. პ. | 287 | 649 |
| ისარლიშვილი ია. პ. | 310 | 626 |
| *იოანნისიანი ა. ა. | 576 | 360 |
| ქალანთარი ა. ა. | 466 | 480 |
| კამლიუხინი ვ. ე. | 278 | 658 |
| *ყანდურალოვი ვ. გ. | 542 | 394 |
| ყანდურალოვი პ. გ. | 372 | 564 |
| ქანანოვი მ. ზ. | 356 | 580 |
| ყარაევი გ. ია. | 229 | 707 |
| *კარაპეტოვი ნ. ი. | 591 | 345 |
| ქართველიშვილი გ. გ. | 343 | 593 |
| ქართველიშვილი გ. დ. | 393 | 543 |
| კერერი გ. ია. | 241 | 695 |
| ქიქოძე ტ. ს. | 286 | 650 |
| *კირაკოზოვი გ. ე. | 553 | 383 |
| კალუბანსკი გ. მ. | 450 | 486 |
| კონდრატენკო ე. ი. | 323 | 613 |
| *ყორღანოვი ვ. დ. | 520 | 416 |
| *ყორღანოვი გ. გ. | 535 | 401 |
| *ყორღანოვი დ. ზ. | 634 | 302 |
| ყორღანოვი ი. მ. | 436 | 500 |
| *ყორღანოვი ი. ს. | 593 | 343 |
| კოცოცოვი გ. ა. | 142 | 794 |
| კუსიკოვი ნ. ს. | 330 | 606 |
| *კიურჩარიანცი გ. ა. | 511 | 425 |
| ლანკო პ. ო. | 252 | 684 |
| *ლუნკევიჩი მ. ვ. | 622 | 314 |
| მაიერი ი. ი. | 351 | 585 |
| *მალინინი ია. ი. | 561 | 375 |
| მალხასიანი ს. ს. | 332 | 604 |
| მამიკონოვი ა. გ. | 421 | 515 |
| *მატინოვი ა. ს. | 599 | 337 |
| მაჩაბელი მ. ვ. | 367 | 569 |
| *მელიქოვი ი. გ. | 580 | 356 |
| *მელიქ-აზარიანცი ა. ა. | 555 | 381 |
| *მელიქ-ბეგლაროვი ლ. შ. | 608 | 328 |
| *მელიქ-კარაკოზოვი პ. კ. | 590 | 346 |
| მელიქ-ნუბაროვი ს. გ. | 397 | 539 |
| მელქუმოვი ა. გ. | 298 | 638 |
| მიქელაძე თ. ვ. ს. | 465 | 496 |
| მილოვი ა. ნ. | 304 | 632 |
| მინიევი ს. ა. | 221 | 715 |
| მიხაილოვი მ. პ. | 241 | 695 |
| მუთაფოვი კ. ა. | 400 | 536 |
| ნედოსპასოვი ვ. ტ. | 210 | 726 |
| ნიკოლაძე ნ. ია. | 425 | 511 |
| *ოდნოსუმოვი ა. ი. | 478 | 458 |
| *ოპოჩინინი პ. ა. | 661 | 277 |
| *ორბელი დ. გ. | 664 | 272 |
| ორბელიანი (ჯამბ.) თ. გ. ი. | 388 | 548 |
| ოსტროვსკი იუ. ს. | 283 | 653 |
| ოტტენი ფ. კ. | 580 | 351 |
| ფავლენიშვილი თ. დ. ა. | 327 | 609 |
| პანკრატოვი ე. ვ. | 194 | 742 |
| პაპკოვი კ. ა. | 185 | 751 |
| *პაშკევიჩი ა. გ. | 498 | 438 |
| ფერნაძე ს. ს. | 271 | 665 |
| პლიუშჩევსკი კ. რ. | 246 | 690 |
| ფორაქოვი დ. ი. | 294 | 652 |
| პორფიროვი თ. პ. | 229 | 707 |
| *ფრიდონოვი ა. ფ. | 661 | 275 |
| *ფრიდონოვი ნ. ს. | 618 | 318 |
| ფსაროვი ი. ე. | 330 | 606 |
| რემიზოვი ს. ფ. | 219 | 717 |
| რიდი იუ. იუ. | 211 | 725 |
| *როლინიანცი მ. დ. | 508 | 438 |
| *როტინიანცი ა. დ. | 579 | 363 |
| რჩეულოვი გ. დ. | 279 | 657 |
| სავანელი ა. ი. | 308 | 628 |
| საყვარელიძე გ. ბ. | 389 | 547 |
| სარაჯიშვილი ვ. ა. | 344 | 592 |
| *სარაჯიშვილი დ. ზ. | 551 | 385 |
| სკოროხოდოვი ნ. პ. | 207 | 729 |
| სტეფ ნოვი გ. ა. | 297 | 639 |
| *თაიროვი ი. ა. | 514 | 422 |
| *თამამშევი ა. მ. | 565 | 371 |
| *თამამშევი მ. ი. | 663 | 273 |
| თათევოსიანცი ა. მ. | 331 | 605 |
| თათევოსიანცი ია. ი. | 319 | 617 |
| *ტერ-ასატუროვი გ. ბ. | 528 | 408 |
| ტერ-გრიგოლიანცი ა. ი. | 372 | 564 |
| ტერ-გუკასოვი ბ. ე. | 312 | 624 |
| ტერ-ყაზაროვი გ. ა. | 251 | 685 |
| თუმანოვი თ. ნ. ა. | 402 | 534 |
| თუმანოვი თ. ნ. ზ. | 364 | 572 |
| ტურქოვსკი ა. გ. | 291 | 644 |
| უთნელიშვილი ი. დ. | 397 | 539 |
| ხელაძე ე. ი. | 234 | 702 |
| ხერხეულიძე თ. ზ. დ. | 338 | 598 |
| ხეჩატუროვი ა. ზ. | 249 | 687 |
| *ხოსროევი ნ. ბ. | 506 | 430 |
| ხუდადოვი ი. დ. | 347 | 589 |
| *ხუდადოვი ნ. ა. | 583 | 352 |
| *წერეთელი გ. ე. | 481 | 467 |
| ციციშვილი გ. ს. | 302 | 634 |
| წოვიანოვი გ. ე. ს. | 443 | 493 |
| *წოკიანოვ ი. ი. | 583 | 353 |
| *წურინოვი ა. ს. | 595 | 341 |
| ცხვეთაძე ნ. ზ. | 365 | 571 |
| *ჭავჭავაძე თ. ი. გ. | 498 | 438 |
| *ჩოლაყაშვილი ა. ზ. | 526 | 410 |
| ჩივაძე კ. ა. | 305 | 631 |
| ჩერქეზიშვილი ვ. ნ. | 365 | 571 |
| *შახ-ბუდაღოვი გ. ე. | 524 | 412 |
| *შახ-აზიზოვ-კამსარაკ. ა. ი. | 535 | 401 |
| *შახ-პარონიანცი მ. ს. | 644 | 292 |
| შერშენკო ი. ა. | 304 | 632 |
| *ენფენდჯიანცი თ. ა. | 657 | 279 |
| უზბაშევი ფ. ი. | 260 | 676 |
| იაკიმოვი პ. მ. | 338 | 598 |
| *იარალოვი გ. ზ. | 656 | 280 |

*** 15 მაისიდგან ბაქოსა და ბათუმს შუა მატარებლები აღარ დადიან, რადგანაც სადგურებ ძირულასა და ფოილოსთან ხიდები წყალმა გააფუჭა. მხოლოდ საფოსტო მატარებლები დადიან, ისიც ისე, რომ ხიდზედ ხალხი ფეხით გადადის და მეორე მატარებლით მიდის.

*** ჩვენ მივიღეთ ეკატერინოდარიდამ ბ-ნ მიხ. ინიაშვილის მიერ შეგროვილი 29 მან. 50 კაპ. „წ. კ. საზოგადოების“ დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად.

ამას გარდა მივიღეთ მისგანვე შეგროვილი 6 მან. ნ. ბარათაშვილის სახელობაზე დაარსებულ სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ. ამავე ფონდის სასარგებლოდ მოგვივიდა ტფილისის მოსწავლე ქალთა შორის შეკრებილი 7 მან. 10 კაპ. სულ 13 მან. 10 კაპ. ამ ფონდისა გვქონდა დღემდე 104 მ. და 30 კ. შესდგა სულ 117 მ. 40.

მოგვყავს აქავე სია ეკატერინოდარელ ქართველ შემომწირველთა: მიხ. ინიაშვილი, დარ. ინიაშვილისა, ლიზა ბადურაშვილისა, კოლა ცუცქირიძე, ალ. ხუციშვილი და დიმ. არახჩიშვილი—თითო მანათი.

*** მივიღეთ აგრეთვე ახალციხის ქართველ ქალთა საზოგადოებაში შეგროვილი ქ-ნ ნინო მირიანიშვილისაგან 43 მან. და ბ-ნ ეგ. იოსელიანისაგან 10 მ. და ეს ფულიც „წ. კ. საზოგადოებას“ გადავეცით დანიშნულებისამებრ მოსახმარებლად. სიას ახალციხელ ქალთა—შემომწირველთა ცალკე დავბეჭდავთ.

*** გარე-კახეთიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ იორი ძლიერ არის ადიდებულიო: ივრის ხიდი დიდად დააზარალა და თითქმის ნახევარი მოჰგლიჯა. გააფუჭა მრავალი ნათესობა და ბაღები. წაახდინა აგრეთვე ქალაქის გზები.

*** თელავიდამ გვწერენ დეპეშით, 17 მაისის თარიღით, რომ ეს ხუთი დღეა, თელავის ბაზარში ფქვილი არ არის გასასყიდიო. ხალხი დიდს გაჭირვებაშია. საჭიროა დახმარებაო.

*** ს. ქედა (ქვემო აჭარა): 7 მაისს ვიღაც ბოროტმა კაცებმა მოჰკლეს სოფ. დონდალოში ერთი ქვრივი ქალი, დედა სამის შვილისა. უფროსი მისი ვაჟი, 12 წლისა, იმ ღამეს სახლში არ ყოფილიყო. ავაზაკებს შეემჩნიათ, რომ ქვრივს დარჩა ქმრისაგან ექვსი თუმანი ფულიო და აი ამ ფულის გულისათვის შევიდნენ ქვრივის სახლში, დაჰკრეს ნაჯახი და სული გააფთხობინეს. წაიღეს ფულიცა და თუ რამ სხვა გააჩნდათ. დედასთან სძინებოდა პატარა მის შვილს, რომელიც თავის დედის სისხლში მოთვხვრილი ჰნახეს მეორე დღეს. ექვსის წლის ქალს ქვრივისას უცვნია ერთი ავაზაკთაგანი. დანარჩენები ჯერ არა სჩანან. ღონისძიება მიღებულია დამნაშავეთა აღმოსაჩენად.

*** იქიდამვე: ამას წინად მოჰკლეს ბათუმიდამ მომავალი კორნაიელი მკვიდრი მეჰმედ ალი ყეიზი, რომელსაც 25 ოქრო თურმე ჰქონდა თან. ბათუმშივე შეემჩნია ბოროტ-მოქმედს ამ კაცისათვის ეს ამბავი, გამოჰყოლია უკან, გზაში გაამხანაგებია და ბოლოს უკრავს უკანიდგან ზურგში ფიშტო და გაუცარცვამს. სხვა მგზავრს შეუმჩნევია ეს ამბავი, შეუტყობინებია პოსტის მილიციონერებისათვის და მკვლელი დაუკავებიათ.

აქეთკენ, თვეზე მეტია, გვალვები იყო. ყანები შეუმუშავებელი დაგვრჩა. 12 მაისს-კი მოვიდა წვიმა. ხალხმა მუშაობა დაიწყო. მოსავალსა და ხეხილს კარგი პირი უჩანს ჯერჯერობით. ავადმყოფობა აქეთ ჯერ არაფერია.

*** ქვაბლიანი, სოფ. უდე (ახალციხის მაზრა): სამი თთვეა, რაც მღვდელი არა გვყავს; ამის გამო არც წირვა-ლოცვაა და ამოდენა მრევლი წელს ულსარებოდ დარჩა. სოფ. უდეში 200 კომლამდე ქართველი კათოლიკენი არიან და 60 კომლამდე ქართველი მაჰმადიანნი. ხალხი ძრიელ შეწუხებულია ერთის მხრით ქართულის წირვა-ლოცვის მოსპობის გამო ეკკლესიაში და მეორე მხრით უმღვდლობის გამო.

*** იქიდამვე: ჩვენის სოფლიდამ წელს ხუთი კომლი მაჰმადიანი გადასახლდა ოსმალეთში. აი მათი გვარები: მეთოშვილები ორი კომლი, ყარალიაშვილი ერთი კომლი, ბეროშვილი ერთი კომლი, მამულაძე ერთი კომლი. სხვანიც აპირობენ გადასახლებას.

ზოგიერთ ქვაბლიანის სოფლებიდამ ერთად იყრებიან წასასვლელად ოსმალოში.

საბატონო სოფ. ზანავიდამ, სადაც 30 კომლია, სულ აპირობენ გადასახლებას; ამათი მამულები 17 კომლმა ხიზაბავრელებმა იყიდა. საზოგადოდ ჯავახელები ყიდულობენ გადასახლებულ ქართველ მაჰმადიანთ მამულებს.

წელს აქეთ დიდი ზამთარი და ცივი გაზაფხული იყო, ამიტომ ხვნა-თესვა ძრიელ დაგვიანდა. მაისის პირველიდამ აქეთ მშვენიერი ჟუჟუნა წვიმა განუწყვეტლივ იყო. ხეხილს ბლომად ასხია. საზოგადოდ მოსავალს ჯერ-ჯერობით კაი პირი უჩანს.

*** ქუთაისი: აქაც ადიდდა რიონი. ისე მოიმატა ამ ბოლოს დროს, რომ ფერმას კარგად ბლომად მოჰგლიჯა ადგილი. წაიღო თან ფერმის რამდენიმე ძვირფასი ხეცა. ჩახრამულს ალაგას ნაპირზე გამოჩნდა ქვითკირის აკლდამა, რომელსაც, არ იქნება ურიგო, ყურადღებას მიაქცევდნენ.

*** იქიდამვე: 14 მაისს აქ ერთი კაცის კვლა მოხდა: ესტატე ყუბანეიშვილმა მოჰკლა თავისი ამხანაგი ერასტო კირია. ორივეს საამხანაგოდ არაყის საწყობი ჰქონდათ და სასმელებს ჰყიდნენ. ყუბანეიშვილმა ბოლოს აღარ მოინდომა ამხანაგად ყოფნა კირიასთან და მოსთხოვა თავისი წილი. ამაზედ მოუვიდათ ჩხუბი და ყუბანეიშვილმა სასიკვდილოდ დასჭრა კირია ხანჯლით სამგან: მუცელსა, კისერსა და ბარძაყში. მკვლელი დაპატიმრებულ იქმნა.

*** ფასანაური: არაგვი ადიდდა და ცოდვაც დაიბრუნა: 5 მაისს ერთი მანგლელი კაცი ივ. ბექაური თავის ამხანაგით გუდამაყარს მიდიოდა ხატობაში. ხიდად ორი ხე იყო არაგვზედ გადებული. ამხანაგმა მშვიდობით გაიარა, ხოლო ბექაურს გაუუსხლტა ფეხი და წყალში გადავარ-

ბიან—თუ ღმერთი გწამთ, გაჩუმდით, თორემ, ხომ იცით, ცუდი დროა. გულში არავინ გაიტაროს იჭვი, ვითომც ჩვენ ვაქებთ სხვებს ან ვაძაგებთ იმოდენად, რამდენადაც ეს სხვები ეთანხმებიან ანუ განს გასდგომიან ჩვენს რედაქტორსაო, და სხვანი.

**

ერთი გამაგებინეთ, თუ ღმერთი გწამთ, რასა ჰგავს ამისთანა სახელმძღვანელო კატერიზმო? რა საპატიო და შესაწყნარებელი აზრი უძევს ასეთს დამუნჯებას თავისას? მეტყვიან—მაგას მოითხოვს თავისთავის პატივისცემაო, ზნეობრივი სისუფთავეო, თავაზიანობაო და მართებულობაო, განზრახვათა სიფაქიზეო, რომელიც თავის დღეში არ უნდა კადრულობდეს ძალის ხმარებას და ყოველივე უნდა მიანდოს კეთილგონიერებას ქვეყნისასო. მერე სად გახლავთ ეგ კეთილ გონიერება ქვეყნისა, რომელიც აღარა საჭიროებდეს მწერლობის საშუალებას და მის დახმარებას? პირიქით, რამდენიც უფრო განვითარებაში ვარდება ქვეყანა, იმდენი მატულობს იქ გაზეთის ყადრი და მნიშვნელობა. მე-კი ასე მგონია, რომ ეს ნებით დამუნჯება აშენებულია მხოლოდ უცნაურს „შჩეპეტილნოსტობაზედ“ და სრულებით უადგილო, გადამეტებულ, „დელიკატნოსტობაზედ“, მეტი არაფერი.

სასაცილოა, თქვენმა მზემ, როდესაცა ვხედამთ, რომ ერთს მხარეს, „შჩეპეტილნოსტობისა“ გამო, ვერ მიუმართნია გაზეთის საშუალებისათვისაც-კი და მეორე მხარეს განთქმული ტივებიც-კი არ ეჩოთირება! ერთნი თვით ჭეშმარიტების გავრცელებასაც-კი ერიდებიან გაზეთის შემწეობით, ცუდი ექვი არა აიღონრაო, და ამავე დროს მეორენი ცილის-წამებასაც-კი ეპოტინებიან, ოღონდ-კი თავიანთი მოულოდნელი „მისსია“, თავიანთი გულ-ღვარძლიანობა, თავიანთი აშკარა „მიფორთხვილობანი“ (ასე გადათარგმნა ერთმა ჩემმა თანამეკალმემ სიტყვა ПОПОЛЗНОВЕНІЕ) გაიტანონ და ქვეყნის ავლა-დიდება, რის ვაი-ვაგლახით გადარჩენილი, რის ცოდვილობით გაბევრებული და რამოდენის ერთგულობით ფეხზედ დაყენებული, ჩაიგდონ ხელში!...

იტყვით—არა უშავსრაო, დეე, ვისაც რა უნდა, ის ჩაიდინოსო. ჩვენ ხომ მაინც სუფთანი და უჩირქონი გამოვალთ განსაცდელისაგანო, ხომ პირნათლად შევრჩებით ჩვენს თავსაცა და ქვეყანასაცო. ამიტომ ჩვენ საძრახისს იარაღს არა თუ არ მოვკიდებთ ხელს, არამედ ახლოს არ გავუვლით ზიზღითაო.

ძალიან კარგი და საქებური! ღმერთმა დაგიხსნათ საძრახის იარაღისაგან. მაგისთანა იარაღები შეგიძლიანთ თამამად დაუთმოთ და დაულოცოთ იმას, ვისაც ერთ წუთსაც არ აუკანკალდება არც გული და არც ხელი, რომ მათ მიჰმართოს. მაგრამ გულზედ ხელის დაკრება ამისთანა ამბების დროს ვერაფერი იარაღია, თქვენმა მზემ, და ვერც-ღა პირნათლად შეჰრჩებით ვერც თქვენს თავსა და ვერც ქვეყანას. რას მიბძანებთ, ბატონო! თვალითა ჰხედავთ აშკარა უკუღმართობას და იქ ხით—თავაზიანობა, მართებულობა, დარბაისლობა მოითხოვს გავჩუმდეთო. სულაც არა! არც თავაზიანობა, არც მართებულობა, არც დარბაისლობა და არც ათასი მაგისთანა უწარჩინებულესი „ობა“ არ მოითხოვს გაჩუმებას, დამუნჯებას. პირიქით, სწორედ ეგ ზნეობრივი თვისებანი ვალად გადებენ საქვეყნო საქმის სამსახურს ყოველის პატიოსანის იარაღით, რომელიც-კი გასჭრის, რომ ქვეყანას თვალი აუხილოთ და ამცნოთ საქმის ნამდვილი ვითარება, აჩვენოთ ჭეშმარიტი გზა. ასეთი მოქმედება ღვთიური ვალია ჯერ ყოვლისავე კერძო კაცისა, რომელსაც-კი წინ მიუძღვის გზა-მაჩვენებელ ვარსკვლავად ჭეშმარიტება, და საზოგადო მოღვაწე ხომ უპატიებელ დანაშაულობას ჩაიდენს, უკეთუ იგი ცნობიერად გაუჩუმდება ბოროტებას მაშინ, როდესაც ხელთ აქვს ათასი პატიოსნური იარაღი პირდაპირის, ვაჟ-კაცურის და მედგარის ბრძოლისა.

აგერ მალე ოცი წელიწადი შეუსრულდება ჩვენს ბანკსა და დღემდე საზოგადოებამ არ იცის ისტორია მისის თავ-გადასავლისა. რატომ გაზეთმა არ უნდა ამცნოს მკითხველს თვითოეული წვლილი ამ ჩინებულის დაწესებულების ყოფა-ცხოვრებისა, მისი კარგი და ცუდი მხარე, მისი წინ-სვლა, დაბრკოლებანი, რომელნიც მას ელობებოდნენ გზაში, რომელნიც დასთრგუნა მან და რომელნიც კვლავ უეჭველად უნდა დასთრგუნოს, რომ ჩვენს საზოგადოებას ხელში შეჰრჩეს მართალი და უტყუარი ძალა ეხლანდელის ცხოვრების ვითარებისა. ასეთივე ცნობანი უნდა გადაშლილი ჰქონდეს საზოგადოებას შესახებ დანარჩენთა ჩვენთა დაწესებულებათა, რომ ყოველს ჩვენგანს ცნობიერად შეეძლოს კარგს კარგი მიუწყოს და ავს—ავი. თორემ დღეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. ერთი კვირა მეტი ექნებს საცოდავი და 20 ვერსზე ძლივს იპოვეს ანანურს ზემოდ.

*** სოფ. ტყიბულა: აქციონერთა ქვის ნახშირის მადანში ისე გაძლიერდა ცეცხლი, რომ მისი გაქრობა მეტად ძნელი შეიქმნა. ცეცხლი თანდათან ძლიერდება, თუმცა მუშები ერთგულად მუშაობენ და აქრობენ. გუშინ, 13 მაისს, როცა ერთი რიგი მუშებისა მღვიმე მაღაროში იყო და აქრობდა ცეცხლს, უცებ ჩამოინგრა ცეცხლ-წაკიდებული ნახშირი, ჩამოიქცა შეგუბებულ-ადუღებული წყალი და ერთს მუშას პეტრე დარსაძეს დაეცა და ქვეშ მოიმწყვდია; საბრალოს მდუღარემ ზურგი და ქვემოტანი გაუყვლიფა და ძალიან დაშავა. ავადმყოფი ამ ჟამად აქაურ საავადმყოფოში წევს და ამბობენ, საეჭვოა მისი მორჩენაო.

*** სოფ. ახალქალაქი (გორის მაზრა): შემდეგ ხანგრძლივის სიცივეებისა, ჩამოგვითბა ძლივს და მოჰყვა თანაც წვიმა. თითქმის სამი-ოთხი დღე განუწყვეტლივ სწვიმდა და არ დასტოვა არც ერთი სახლი ჩამოურეცხავი და ზოგი მათში დაუნგრეველიც. ალაგ-ალაგ, რასაკვირველია, კვლავინდებურად, ჩვენი თეძამიც და შაუყენა ფაცია კალო მის მახლობლად სახლებისა და ვენახების მქონეთ. დაგლიჯა სამი-ოთხი თითო და ოროლ-სართულიანი სახლები, ვენახები და დიდრონ-დიდრონი კაკლისა და სხვა ხილის ხეები თარხნიშვილებისა და სხვებისა. მისცა ბევრად მომეტებული ზარალი ახალქალაქელებზედ სოფელს თეძამის ხევსაც, საცა სულ 18 მეკომურია. ყველას სახლები, საბძლები, ვენახები და სხვა თუ რამ შენობა იყო, სულ მთლად გაანადგურა, გარდა ოთხის სახლისა, რომლებისაც მხოლოდ ცარიელი კედლები-ღა გადარჩა. მდინარე თეძამმა, საზოგადოდ, დაიწყო ასეთი ადიდება და მცხოვრებთა დაზარალება ამ ოთხი-ხუთის წლის განმავლობაში. მიზეზი ტყეების უწყალოდ გაკაფვაა.

ხანგრძლივმა სიცივეებმა ძალიან შეაგვიანეს ჩვენსკენ ვენახების შემუშავება, ჯერაც არ შეუმუშავებიათ სრულიად. თუმცა წინად უჩიოდნენ, ვაზი გახმაო, მაგრამ ვაზი ძლიერ არ არის დაზიანებული სიცივისაგან და კარგად გამოიტანა კვირტი. ნაჭირნახულებს ერთობ გარგი პირი უჩანს. კალია ჩვენ არ გვეწვია.

*** ამ თვის 17 დიდს მრუდე ქუჩაზე დაიქცა სახლი ქვრივის ეკატერინე ნადიროვისა. სახლი წინათვე იყო დაცლილი.

*** ამავე დღეს კუკიის ხიდზე კონკამ გასრისა სიღნაღის მცხოვრებლის სერგეი ისარლოვის 12 წლის ვაჟი.

*** 18 მაისს უეცრად გარდაიცვალა მიხეილის ქუჩაზე მცხოვრებელი ღვინის ვაჭარი ალექსანდრე თუნიევი.

---

## † ნესტორ თავდგირიძე

(წერილი ქუთაისიდამ)

ეს-ეს არის დეპეშამ გურიიდან მოგვიტანა ქუთაისში სამწუხარო ამბავი ნესტორ თავდგირიძის გარდაცვალებისა. ყველას თავზარი დასცა ნესტორის სიკვდილმა. ყველას, ვინც, ოდნავაც არის, იცნობდა ნესტორს, გულს ჩაუთუთქავს მისი საუკუნოდ გამოსალმება, თუმცა ყველამ იცოდა განსვენებულის სენის უკურნელობა და ულმობელობა, თუმცა ყველა მოელოდა ამ სავალალო საათს.

დიდი ხანია ნესტორის ნათესავები და ნაცნობები ჰხედავდნენ, რომ მისი ჯერ კიდევ ახალგაზდა სიცოცხლე დღითი-დღე ჰქნებოდა და ილეოდა, დიდი ხანია მათ ამის გამო იდუმალ გული უტიროდათ და სული უწუხდათ, მაგრამ თავს მაინც ვერ გამოტეხოდენ, რომ მალე უნდა გამოსალმებოდენ მას: მეტად საყვარელი იყო ყველასთვის და მეტად ეძნელებოდათ მისი მოშორება...

ნესტორ თავდგირიძე არა ყოფილა მდიდარი, რომ სიუხვით და ხელგაშლილობით მიეგოს ნაცნობთა გული, არა ყოფილა მდიდარი პოეტურ ნიჭით, რომ ტკბილ ლექსებით მოეხიბლოს მათი სმენა და გული,— ხოლო ფრიად მდიდარი იყო იმით, რაც განსაკუთრებით ჩვენში იშვიათია, სანთლით საძებარია დღევანდელ დღეს: მდიდარი გულწრფელობით, მდიდარი პატიოსნებით! მსახურობდა ის სასამართლო უწყებაში გამომძიებლად, ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში მასწავლებლად, თუ შემდეგ ფოთში ქალაქის თავად—არსად არ იყო უკეთესი გამომძიებელი, პედაგოგი, ქალაქის თავი. ყოველგან იყო უზომო ერთგული საქმისა, ყოველგან გულწრფელი და ცამდის პატიოსანი.

სახით მიმზიდველი, სასიამოვნო მომლხენი, ცნამახვილი, გულწრფელი, ჭკვიანი და ამასთან კარგად განათლებული ახალგაზდა კაცი—აი როგორი იყო ნესტორ თავდგირიძე, აი რით დაიმსახურა ნესტორმა ყველა ნაცნობის სიყვარული!

„სული წმინდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და გული წრფელი განმიახლე გვამსა შინა ჩემსა“:

აი, რა არის, ჩემის აზრით, უპირველესად ყოვლისა სანატრელი ადამიანისათვის. „სული წმინდა“ დაბადებული იყო ნესტორთან და „გული წრფელი“ განახლებული ჰქონდა.

სილოვანი

---

## წერილი რედაქციის მიმართ

(კავკასიის შესწავლის მოყვარულთა საყურადღებოდ).

მოსკოვის უნივერსიტეტთან დაარსებულმა—ბუნების-მეტყველებისა, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საეთნოგრაფიო განყოფილებამ განიზრახა დაბეჭდოს ყოველივე ცნობა, რომელიც შეეხება რუსეთში მცხოვრებ სხვა-და სხვა ეროვნების გლეხ-კაცობის მდგომარეობას; ასეთი ცნობანი ბლომად მოგროვდა საეთნოგრაფიო განყოფილების არხივში. ამ ჟამად დაიბეჭდა სამი წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია ცნობანი რუსეთის გლეხ-კაცობის მდგომამარეობის შესახებ და დამზადებულია დასაბეჭდად ერთი წიგნიც—„Алтайскie инородцы“, რომელშიაც ბ-ნმა ვ. ი. ვერბიცკიმ მოათავსა ალტაიას მცხოვრებ სხვა-და-სხვა ტომთა შესახები საეთნოგრაფიო წერილები. ზემოხსენებული წიგნები დაიბეჭდა და იბეჭდება კერძო კაცთა ხარჯით, რადგან საეთნოგრაფიო განყოფილებას ამისათვის საჭირო ფული არ აქვს. ფულის-უქონლობა უფრო აფერხებს კავკასიის შესასწავლად საჭირო ცნობათა დაბეჭდვას. ხოლო მას აქედ, რაც დაიბეჭდა საეთნოგრაფიო პროგრამები და იბეჭდება ჟურნალი „საეთნოგრაფიო მიმოხილვა“, განყოფილებას ყოველ-დღე მოსდის სხვა-და-სხვა ადგილებიდგან კავკასიის ხალხთა შესახები საეთნოგრაფიო წერილები; ეს წერილი დაუბეჭდავი დარჩება მანამდე, სანამ ჩვენს ქვეყანაში არ აღმოჩნდებიან ისეთნი მდიდარნი კაცნი—მოყვარულნი კავკასიის შესწავლისა, რომელნიც ამ კეთილ საქმისათვის საჭირო ფულს გამოიღებდნენ.

ამიტომ საეთნოგრაფიო განყოფილების სახელით მივმართავ ჩვენის ქვეყნის ისეთს მდიდარ კაცთ, რომელთაც სურთ, რომ კავკასიის სხვა-და-სხვა ტომის თავისებური წეს-წყობილება და ზნე-ჩვეულება შესწავლულ და მეცნიერულად გამოკვლეულ იქმნას; იმედია, ესენი განურჩევლად გვარ-ტომისა და სჯულისა, იმდენს გამოიღებენ ამ საქმისთვის, რომ პირველ წიგნის დასაბეჭდავად ხარჯს აუვიდეს. შემოწირულებანი უნდა გამოიგზავნოს ბუნების-მეტყველების საზოგადოების საეთნოგრაფიო განყოფილებაში (Москва, Политехническiй музей).

პირველ წიგნში დაიბეჭდება შემდეგი წერილები: „ინგუშები“, თხზ. ბ-ნ ბორისევიჩისა, „ოსები“, თხზ. ბ-ნ ბაევისა, „უაზიუუმუხელები“, თხზ. ბ-ნ ვასილიევისა, „მეგრელები“, თხზ. ბ-ნ ვრენისა და სხვანი.

ბუნების-მეტყველებისა, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების მუდმივი წევრი ა. ხახანაშვილი.

მოსკოვი.

---

# დეპეშა

14 მაისი

**პეტერბურგი.** გუშინ გარდაიცვალა სამხედრო-სანიტარო მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე გრაფი სივერსი.

Гражданинъ-ს შეუტყვია, რომ გზათა მმართველობისთვის სახელმწიფო საბჭომ ამ წლის მეორე ნახევრისთვის გადასდო 150,000 მან.

15 მაისი

**ლონდონი.** მუნდეისა და მიხაელს იმ დანაშაულობისთვის, რომ ქვებს ესროდნენ იმ მატარებელს, რომლითაც გლადსტონი მიდიოდა, სასამართლომ მიუსაჯა 14 დღით კატორგაში მუშაობა. ამას გარდა მიხაელს გადუწყვეტეს 8-ჯერ მათრახი დაჰკრან.

**ტირნოვო.** საერო კრებამ გადასწყვიტა კონსტიტუცია ახლად იქმნას განხილულიო. კრებამ ერთხმად დაამტკიცა 38 მუხლი კონსტიტუციისა, რომელიც შეეხება მთავარის სარწმუნოებას. მესამე კრება დღეს არის დანიშნული.

**მოსკოვი.** გუშინ კრემლში საძირკველი ჩაყარეს იმპერატორის ალექსანდრე II-ს ძეგლისა. სასახლის მოედნიდგან გამართული იყო ქვემო ბაღამდე კიბე ხუთის საფეხურით; ქვემოდ, ძეგლის ასაგებ ადგილს, დაცემული იყო კარავი, წითელ მაუდით გადაფარებული, ოქროს ქსოვილებითა და გვირგვინით შემკული; მიძინების ტაძრიდგან სამღვდელოება ლიტანიით მოვიდა; ორსავე მხარეს იდგნენ ჯარები და სხვა-და-სხვა სასწავლებლის მოწაფენი. დილის თერთმეტ საათზედ მობრძანდნენ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი და ხელმწიფის გვარეულობა. პარაკლისის შემდეგ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ იმპერატორის ალექსანდრე II-ის სულის მოსახსენებლად. მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ და ყველა დამსწრეთ პანაშვიდი მუხლთ მოყრით მოისმინეს. შემდეგ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ მიართვეს 1893 წელს მოჭრილი ყოველ გვარი ფული $^1/_2$ კაპეიკიდგან დაწყობილი იმპერიალამდე. მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ და მათ უმაღლესობათ ეს ფული ჩაყარეს ყუთში და შემდეგ ყუთს დახურეს მარმარილოს ქვა შესაფერის ზედ წარწერით. შემდეგ მოართვეს ქვები, ცემენტი და ჩაქუჩი. პირველი ქვა საძირკვლად დაუდო ხელმწიფე იმპერატორმა, შემდეგ იმპერატრიცამ, მერე მემკვიდრე ცესარევიჩმა და მთელმა გვარეულობამ; შემდეგ იმპერატორი და დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე წაბრძანდნენ გარეშე საქმეთა სამინისტროს არხივში და ხელმწიფე იმპერატრიცამ დაათვალიერა ნიკოლოოზის სახელობაზედ ობოლთათვის დაარსებული ინსტიტუტი. დღეს გენერალ გუბერნატორთან გაიმართება ბალი. გუშინ ხელმწიფის გვარეულობა პატარა თეატრში წარმოდგენას დაესწრო.

16 მაისი

**პეტერბურგი.** დღეს ისაკის ტაძარში და სხვა ეკკლესიებში ხალხს უფასოდ დაურიგდა ე. ვ. ბოლდანო-

---

როდესაც გაზეთი არ ასრულებს თავის პირდაპირს მოვალეობას, ყველა ძავნე და ოინბაზი, კუჭის ჩხავილით წაქეზებული, ავრცელებს საზოგადოებაში ათას გვარ უმზგავსო ჭორებს და გაჭორიკანავებული ნაწილი საზოგადოებისაც, რასაკვირველია, სიამოვნებით ისმენს საჭორიკანაო მასალასა და მასლაათს.

**

ამ უკანასკნელ „ბანკობანობას“ ლაპარაკი მქონდა ერთს ინტელიგენტთან, რომელსაც ევროპა მუდამ პირზედ აკერია.

— მართალია—მეთქი, ვკითხე— რასაცა ლაპარაკობენ, ვითომ ისეთი ხალხი ჩამოვერეკოთ, რომელთაც არც კი იციან, რა არის ბანკი, ხეს ასხია თუ მიწაზე მოდის?

— დიაღაც მართალია! მერე რაო?

— ისიც მართალია, რომ გიშოვიათ ყუთები, კენჭები და გაგიმართავთ რეპეტიციები, რომ ჩამორეკილებს არ შესცდეთ საზოგადო კრებაზედ, რომელია მარჯვენა და რომელი მარცხენა, მართალია?

— შედარება-კი ნამეტანი მოგდის, მაგრამ ეგეც მართალია?

— მერე მაგისთანა გულუბრყვილო ხალხის შემწეობით გატანილი ბურთი განა თავ-მოსაწონებელი და საკადრისია პატიოსან კაცისთვის?

— ბურთი-კი გავიტანოთ, თორემ თავის მოწონებასა დ პატიოსნებას ვინ დაგიდევს? საქმე ბურთია, ბურთი! და რომ მანდ საძრახისი არა არისრა, ამას გვიჩვენებს მაგალითი თვით ევროპისა, სადაც უწარჩინებულესნი მოღვაწენი ათასს ხერხსა ჰხმარობენ, რომ იშოვნონ მომხრენი და გაიტანონ თავიანთი. ჯერ ერთი ვნახოთ, წელს როგორ ჩაივლის საქმე, და საგაისოდ სულ დედიან-ბუდიანად გავიხიზნებით ტივებზედ, და მაშინა ჰნახავთ სეირს.

მაინც ჩვენს კაცუნებსა და ქონდრის კაცებს ძალიან უყვართ ევროპიელებთან ფეხის გაჭიმვა და მათის ავტორიტეტით ამართლებენ თავიანთს გასაშტერებელს მოქმედებას, აგერ ევროპის უკეთეს ქვეყანაში, თვით განთქმულ საფრანგეთში გატყვრა საშინელი ბოროტ-მოქმედბა პანამისა, აღმოჩნდა წარმოუდგენელი გაქურდვა ქვეყნისა, გატანა მის მილიონებისა, აღმოჩნდა დაუჯერებელი შესყიდვა საზოგადო მოღვაწეთა. მაშ, საფრანგეთის მაგალითით წახალისებულნი, ჩვენც უნდა ქურდობის გზას დავადგეთ, ჩვენც უნდა შევისყიდოთ ხალხი, დავარიგოთ ფული ხმის მოსაპოვებლად და კენჭის გასაბევრებლად? თუ-კი საფრანგეთში ჰხდება მაგეთი საქმეები, ჩვენში უფრო უპრიანიაო, ეტყვით ჩვენებური ქონდრის კაცი, გ დარწმუნებული, რომ იგი მტკიცედა დგას სახელოვან ევროპიელ მოღვაწეთა პრინციპებზედ...

არა, ჩემო ცრუევროპიელნო, მაგრე როდია საქმე. თუ შეგიძლიანთ რაიმე გადმოტანა ევროპიდგან, ისევ კარგი რამ გადმოიტანეთ, თორემ ცუდი ხომ ჩვენშიაც ნამეტანად მოჭარბებული გახლავთ. ხოლო რაიცა შეეხება ამორჩევებს, უნდა მოგახსენოთ, რომ ევროპაში, კარგა ხანია, პარტიებმა დაივიწყებას მისცეს ყოვლად დამამცირებელი და უზნეო საშვალება—მომხრეების შეძენა ფულის შემწეობით. აი, თუ მართლა გწამთ და მიგაჩნიათ ევროპა, ყური უგდეთ, როგორ ირჯება ყოველი იქაური პარტია, რომელიც ღირსია ამ სახელისა. პარტია აფუძნებს გაზეთს, პარტია წინ აყენებს პირწყლიან კაცებს, ორატორებს და, როგორც გაზეთის, აგრედვე ორატორების შემწეობით, გამოდის სარბიელზედ და საქვეყნოდ, ხმა-მაღლა, ვაჟკაცურად ებრძვის მოპირდაპირეს, მის მიმართულებას, მის პრინციპებს და ნაცვლად ავრცელებს საკუთარს აზრსა და მიმართულებას. იქ ჯერ ქარცეცხლში გაატარებენ საჯაროდ ყოველსავე აზრს და ბოლოს ხალხი კენჭით გადასწყვეტს, რომელი აზრი უფრო უჯდება ჭკუაში. იქ ღამურებივით და ქურდულად როდი იკრიფებიან სადმე მიყრუებულ ადგილას და შეთქმულებივით კი არ უჩურჩულებენ ყურში ათასნაირ საზიზღს ჭორებსა, დიაცურად კი არ გააქვთ და გამოაქვთ სახელი თავიანთის მოწინააღმდეგისა, არამედ პირდაპირ და მედგრად აღმართვენ ხოლმე ასპარეზზედ თავიანთს დროშას. იმართება მრავალი მიტინგები, სადაც ყველა მოთავე საქვეყნოდ აცნობებს მსმენელთ თავის მისწრაფებას. ერთის სიტყვით, იქ მეთაურნი ღამურებივით როდი იმალებიან და არცა აქვთ-რა დასამალი. იქ მტერსაცა ჰხედავ პირდაპირ, მოკეთესაც. ჩვენში კი, საუბედუროდ, სულ ყველაფერი უკუღმართად გვესმის და ამიტომაც, სიმართლისა და ჭეშმარიტების ნაცვლად და ბევრჯელ მათის სახელით, შემოაქვთ კონტრაბანდით ყოველგვარი ბიწიერება, გაიძვერობა და სხვა ამისთანა უწმაწურობა...

სანო.

ვიჩის მიერ გამოცემული სურათები ხელმწიფე იმპერატორისა და იმპერატრიცასი. სურათს აწერია: „მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა გვირგვინის კურთხევის სახსოვრად“.

**მოსკოვი.** დღეს კრემლის სასახლეში ხელმწიფე იმპერატორს ეახლა დეპუტაციები: მოსკოვის თავად-აზნაურობისა, ქალაქის საბჭოსი, ვაჭრებისა, ხელოსნებისა, ცესარევიჩის ნიკოლოზის სახელობაზედ დაარსებულ ლიცეისა და მოსკოვის გუბერნიის საზოგადოებათა მამასახლისები. დეპუტატებმა მიართვეს ხელმწიფე იმპერატორს ადრესები და ხატები; შემდეგ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი წაბრძანდნენ მიძინების ტაძარში და იქიდკან მთავარ ანგელოზის ტაძარში. მათ უდიდებულესობას ხალხი აღტაცებითა და „ურას“ ძახილით ეგებებოდა ყველგან. მთავარ ანგელოზის ტაძრიდგან გაემართნენ წითელ კიბისკენ, საიდგანაც ხელმწიფე იმპერატორმა ხალხს თავი დაუკრა, და შემდეგ მათი უდიდებულესობანი სასახლეში წაბრძანდნენ. 12 საათზედ ხელმწიფე იმპერატორმა ჯარები დაათვალიერა. თავად-აზნაურთა წინამძღოლს ტრუბეცკის კამერგერობა ებოძა. იმპერატორის ალექსანდრე II-ს ძეგლის ასაგებად დაარსებულ კომიტეტის ხაზინადარს ლიაზონს ებოძა წმ. სტანისლავის ორდენი 1 ხარისხისა.

**სოფია.** კონსტიტუციის შეცვლის შესახებ ყველა მუხლები დამტკიცებულ იქმნა. კრება 31 მაისს დაიშლება.

17 მაისი

**პეტერბურგი.** 15 მაისს, როცა დეპუტაციებმა ხელმწიფე იმპერატორს ხატები მიართვეს, იმპერატორმა უთხრა მოსკოვის ქალაქის მოურავს: დიდათა გმადლობთ; სწორედა სთქვით, რომ ჩემთვის ღვთის კურთხევა საჭიროა; დიდად მიხარის, რომ ერთს დღეს კიდევ მოსკოვში ვრჩები. თავად-აზნაურთა წინამძღოლს ხელმწიფე იმპერატორმა უთხრა: გმადლობთ ღვთის კურთხევის სურვილისთვის. ამ ათმა წელმა მშვიდობიანად განვლო, იმედია, რომ შემდეგაც ასე იქნება. გთხოვთ ჩემისა და იმპერატრიცის სახელობით ჩვენი მადლობა გადასცეთ მოსკოვის თავად-აზნაურობას.

18 მაისი

**პეტერბურგი.** მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინანი ქსენია და ოლგა ალექსანდრეს ასულნი 17 მაისს გატჩინოს მობრძანდნენ.

უმაღლესის რესკრიპტით მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს დიდს მთავარს სერგეი ალექსანდრეს ძეს ებოძა ორდენი წმ. ვლადიმირისა პირველის ხარისხისა.

პეტერბურგის ბირჟა, 7 მაისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,72 | 7¾ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 154 | 155 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — ,, | 1,06 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 245 |
| მეორისა . . . | — ,, | — ,, | 222 |
| 4% მესამე სესხისა. . | 99⅜ | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | ,, | — ,, | 193¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა. | | | |
| 6%. . . . | — ,, | 101 | — ,, |
| 5%. . . . | — ,, | 100¼ | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | 101 | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | 100¼ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | ,, | — ,, | 97 |


# პირველი კერძო საავადმყოფო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანოვი, 12½—1 საათამდის, სნეულებანი: საზებრო და დედათ სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ა. მ. ფუგინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი ა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—გარიგებით.

იქმოი დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.


ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის 1881 წლის 17 თებერვლის წესდების მე-15 §-ის თანახმად, ამით აცხადებს, რომ 21 და 22 ივნისს ამა 1892 წლისას, დღის 12 საათზედ, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავნი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გადასახდელების შემოუტანლობისათვის, მე 13, 14, 15, 17; 18 და 19 §§-მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-18 §-ის თანახმად, ზემოხსენებულ ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება საერობო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი გრძელ-ვადიანთა სესხისა შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქმნება თავისს დარქმეულ ფასისამებრ მანეთი მანათად და აგრედვე, ბანკის თანხმობით, ვალი მყიდველზედ იქმნას გადატანილი; სავადო შემოსატანისა და სხვა გარდასახადისათვის კი ნაღდი ფული უნდა იქმნეს შემოტანილი.

ვინიცობაა ამ წლის 21—22 ივნისს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე-21 §-ს საფუძვლისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქმნება 7 ივლისს ამავე წლისას. ბანკის წესდების მე-16 §-ის თანახმად, გრძელ ვადიანის ვალის მსესხებელს ნება ეძლევა შემოსატანი, სარგებლით ვადაზედ შემოუტანლობისათვის, და აგრეთვე ყოველივე ხარჯი მამულის სავაჭროდ დანიშვნისათვის ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს.

ქალაქის მამულების ვაჭრობა იქმნება 21 ივნისს, სოფლის მამულებისა 22 ივნისს.

ძველის კატეგორიისა

**ქალაქის მამულები**

რომელთა გირაოს მიღებით გაცემულია სესხნი 1874 წლის 28 მაისის წესდების ძალით, არა ურთიერთის თავდებობით.

ბეთანოვი, სტეფანე ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლივე ყოველ გვარ მოწყობილობით, მიწით და ეზოთი, ზომით სიგრძით 28 საჟენი და სიგანით 13 საჟენი, ქ. ახალციხეში. თავნი ვალი 2295 მ. 48 კ. გარდ. 293 მ. 74 კ. სულ 2589 მ. 22 კ.

ტეხმინცევისა, აკოფ მიკირტიჩისძისა: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი თავლითა, ბაღით და ყოვლისვე მოწყობილებით, მიწა ზომით 370 ოთხ-კუთხ. საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება ქ. ახალციხეში. თავნი ვალი 2268 მ, 28 კ. გარდ. 187 მ. 20 კ. სულ 2455 მ. 48.

ტერ-შმავანოვი, ნიკოლოზ ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ფლიგელით და ყოველისავე მოწყობილებით, მიწა ზომით 86 ოთხ-კუთხ. საჟ., ან რამდენიც აღმოჩნდება. 6 ნაწილში, 1 განყოფილებაში ქ. ტფილისში, მოლინისა და ბებუთოვის ქუჩაზე, № 21. თავნი ვალი 5788 მ. 68 კ. გარდ. 406 მ. 23 კ. სულ 6194 მ. 91 კ.

ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ ზაალის ძე და ჯანდიერი ლევან გიორგის ძე. ორ-სართულიანი ქვიტკირის სახლი ფლიგელით და მიწით, ზომით 800 ოთხ-კუთხი საჟენი, ქ. თელავში. თავნი ვალი 833 მ. 64 კ. გარდ. 102 მ. 12 კ. სულ 935 მ. 76 კ.

ნიკოლაძე, ნიკოლოზ იაკობის ძე. ერთ-სართულიანი ქვიტკირის სახლი ეზოთი, მიწა ზომით 235 ოთხ-კუთხი საჟ., მე-7 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ნავთლუხში. თავნი ვალი 416 მ. 81 კ. გარდ. 70 მ. 56 კ. სულ 487 მ. 37 კ.

**ბ) სოფლის მამულები**

ძველის კატეგორიისა

რომელთა გირაოს მიღებით გაცემულია სესხნი 1874 წ. 28 მაისს წესდების ძალით, ურთი ერთის თავდებობით.

ხიმშიევები: ნიკოლოზ, ნინო და მარიამ გიორგის ძენი და ეკატერინა ბეჟ ნის ასული. სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 653 დესეტინა და 1820 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში სოფ. ანტონის ხევში. თავნი ვალი 3909 მ. 73 კ. გარდ. 185 მ. 89 კ. სულ 4095 მ. 62 კ.

ჭიჭინაძისა, სოფიო როსტომის ასულისა. სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი ადგილები, ტყე, მიწა ზომით 291 დეს. და 900 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში სოფელ დიდ შავთას. თავნი ვალი 2606 მ. 24 კ. გარდ. 128 მ. 80 კ. სულ 2735 მ. 04 კ.

აბხაზი, გიორგი ალექსანდრეს ძე: სახნავი, სათიბი, საძოვარი ადგილები შენობები და ტყე ზომით 2867 დეს. 562 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერ. და მაზრაში სოფ. სადახლოსა, ჩოჩქანსა, ქვემოცოფსა, თოხლიკილისა, არაბატალას, პ ლიან-თაქიანსა, გალიტალასა, ხუჯაბას, საძოვარი ადგილები ლიალვარს, ხუდიბანას, არაბატალასა და გულიბ ღას. თავნი ვალი 37,445 მ. 12 კ. გარდ. 1529 მ. 42 კ. სულ 38,974 მ. 54 კ.

კერესელიძე, ანასტასია გრიგოლის ასული. სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 104 დესეტინა და 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ ბოგვში. თავნი ვალი 2643 მ. 82 კ. გარდ. 167 მ. 01 კ. სულ 2810 მ. 83 კ.

ამილახვრები: ზაქარია ალექსანდრეს ძე და ქეთევან ქრისტეფორეს ასული და თაზიევისა მარიამ ალექსანდრეს ასული. სახნავი სასახლკარო მიწები, ზომით 33 დესეტინა და 320 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ გრაკალში. თავნი ვალი 1330 მ. 42 კ. გარდ. 82 69 კ. სულ 1413 მ. 11 კ.

ფალავანდიშვილი ივანე ანტონის ძე. სახნავი და საძოვარი მიწები, ზომით 90 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ პატარა თამარაშენს, ქვათეთრასა, ოქონასა და ხიდის-უბანში. თავნი ვალი 1774 მ. 11 კ. გარდ. 86 მ. 50 კ. სულ 1860 მ. 61 კ.

ქობულოვები: იოსები, სოლომონი და ზაქარია ადამის ძენი. სახნავი, საძოვარი მიწები და ტყე, ზომით 823 დესეტინა და 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში სოფელ კონდოლში. თავნი ვალი 8869 მ. 54 კ. გარდ. 364 მ. 78 კ. სულ 9,234 მ. 32 კ.

თარხან-მოურავი დავით იორამისძე. სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 525 დესეტინა და 876 ოთ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში. ტფილისის და გორის მაზრაში, სოფელ ახალ-ქალაქს მუხათგვერდს და სათარხნოში. თავნი ვალი 6208 მ. 03 კ. გარდ. 280 მ. 05 კ. სულ 6,488 მ. 08 კ.

კალატოზოვი ვასილი აბელის ძე. სახნავი მიწები, ზომით 37 დესეტ. და 1200 ოთ კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ ბრეთში. თავნი ვალი 1330 მ. 42 კ. გარდ. 73 მ. 29. კ. სულ 1403 მ. 71 კ.

ვაჩნაძე იოსებ რევაზის ძე. სახნავი მიწები და ტყე, ზომით 663 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, სოფელ. ბარემკალას. თავნი ვალი 2660 მ. 86 კ. გარდ. 139 მ. 42 კ. სულ 2800 კ. 28 კ.

ვახვახიშვილისა ეკატერინე გიორგის ასული. სახნავი მიწები და ტყე, ზომით 308 დესეტინა, 555 ოთხკუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფ. კონდოლში. თავნი ვალი 2660 მ. 86 კ. გარდ. 174 მ. 96 კ. სულ 2835 მ. 82 კ.

ბარნაბიშვილი, ანასტასია სოლომონის ასული, სახნავი მიწები, ზომით 19 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. დიცში. თავნი ვალი 442 მ. 85 კ. გარდ. 47 მ. 92 კ. სულ 490 მ. 77 კ.

ქარუმიძე, ივანე პაატას ძე: სახნავ-სათესი მიწები, ზომით 34 დეს. 1320 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. თორტიზაში. თავნი ვალი 886 მ. 98 კ. გარდ. 80 მ. 62 კ. სულ 967 მ. 60 კ.

თარხან მოურავი, ლუკა ესტატესძე: სახნავ-სათესი, საძოვარი ადგილები, ტყე და ბაღი, მიწა ზომით 269 დეს. 1325 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, აგარაკები მუხაურს, ზემო-ხაანდაკს და ახალციხეს. თავნი ვალი 7319 მ. 91 კ. გარდ. 332 მ. 98 კ. სულ 7652 მ. 89 კ.

ბაგრატიონ მუხრანსკი ივან კონსტანტინეს ძე. სახნავი მიწები და ტყე, ზომით 660 დესეტინა და 1800 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თიანეთის მაზრაში, აგარაკ ბოტკოში. თავნი ვალი 10,778 მ. 70 კ. გარდ. 484 მ. სულ 11;262 მ. 70 კ.

აღა-რაჰიმ-ჰაჯი-იბრაჰიმ-ზეინალოღლი და სხვანი. სახნავი და სათიბი ადგილები, ზომით 166 დესეტინა და 940 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, ბორჩალოს განყოფილებაში, სოფელ ყიროხლოს. თავნი ვალი 5389 მ. 38 კ. გარდ. 245 მ. 50 კ. სულ 5634 მ. 88 კ.

პოლტარაცკი, ალექსანდრე ეგნატეს ძე, სახნავი, საბალახე, საზოსტნე ადგილები, ბაღი და შენობები, მიწა ზომით 148 დესეტინა და 900 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიისა და მაზრაში, სოფელ ოქროყანას. თავნი ვალი 6420 მ. 98 კ. გარდ. 327 მ. 44 კ. სულ 6748 მ. 42 კ.

ჯომარჯიძე, თომა იაკობის ძე: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით,

Доз. ценз. Тифлисъ, 13 го Мяа 8913 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.